ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 428

27 დეკემბერი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, №18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი №24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, №18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, კორპუსი №24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №19.1344.1712 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, №18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი №24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, თენგიზ ჩუბინიძის (პ/ნ: 01024008573) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზემო ვეძისის დასახლება №74ა-ში მდებარე 1070 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.15.003.029) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**